



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
სოციალური მომსახურების სააგენტო

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA030402785096316

№ 04-11/ო

11 / იანვარი / 2016 წ.

**„მცირე საოჯახო ტიპის სახლში სოციალური მუშაკისა და მომსახურების მიმწოდებლის ფუნქციებისა და მოვალეობების განაწილების შესახებ“ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2012 წლის 20 ივნისის № 04-385/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის, მცირე საოჯახო ტიპის სახლების ასოციაციის, რეგისტრირებული კავშირის - „საქართველოს ბავშვები“, ასოციაციის - „საქართველოს SOS ბავშვთა სოფელი“, საქველმოქმედო ფონდის - „საქართველოს კარიტასი“, საქველმოქმედო ჰუმანიტარული ფონდის - „ბრეს საქართველო“, ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდის - „ჩემი სახლი“, საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრის - „აფხაზეთი“, საზოგადოების - ”ბილიკი“, კავშირის - ”ბავშვი და გარემო“, „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ წარმომადგენლებისგან შემდგარმა ჯგუფმა დაასრულა მუშაობა დოკუმენტში - „მცირე საოჯახო ტიპის სახლთან მიმართებაში სოციალური მუშაკისა და მომსახურების მიმწოდებლის ფუნქციების განაწილების შესახებ“ - ცვლილებების შეტანის საკითხზე. აღნიშნული დოკუმენტი ასახავს მცირე საოჯახო ტიპის სახლში სოციალური მუშაკისა და მომსახურების მიმწოდებლის ფუნქციებისა და მოვალეობების განაწილებას. ეს არის დამატება სოციალური მუშაკის სამუშაო აღწერილობასა და 24 – საათიანი ზრუნვის მომსახურების სტანდარტებზე, რომელთა დებულებების შესრულება სავალდებულო ხასიათს ატარებს. სააგენტოს სისტემაში აღნიშნული დოკუმენტის სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად დამუშავების მიზნით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის №190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2012 წლის 20 ივნისის 04-385/ო ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ( „მცირე საოჯახო ტიპის სახლთან მიმართებაში სოციალური მუშაკისა და მომსახურების მიმწოდებლის ფუნქციების განაწილება“) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.
2. ეთხოვით მცირე საოჯახო ტიპის სახლების მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციებს საქმიანობისას ამ ბრძანების დანართით ხელმძღვანელობა.
3. დაევალოს სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტს აღნიშნული ბრძანების გაცნობა მცირე საოჯახო ტიპის სახლების პროვადერებისათვის.

4. დაევალოს სააგენტოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების სააგენტოს სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულებისათვის გაცნობა.
5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს  
დირექტორი, საქართველოს შრომის,  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის  
მინისტრის მოადგილე



ზაზა სოფრომაძე

**მცირე საოჯახო ტიპის სახლთან მიმართებაში სოციალური მუშაკისა და  
მომსახურების მიმწოდებლის ფუნქციების განაწილება**

ნოემბერი, 2015 წელი

## დოკუმენტის მიზანი

წინამდებარე დოკუმენტი ასახავს მცირე საოჯახო ტიპის სახლში სოციალური მუშაკისა და მომსახურების მიმწოდებლის ურთიერთთანამშრომლობას. ეს არის დამატება სოციალური მუშაკის სამუშაო აღწერილობასა და 24-საათიანი ზრუნვის მომსახურების სტანდარტებზე, რომელიც სავალდებულო ხასიათს ატარებს.

დოკუმენტი სამი ნაწილისგან შედგება. პირველ ნაწილში საუბარია მცირე საოჯახო ტიპის სახლში სოციალური მუშაკის სავალდებულო ვიზიტების რაოდენობასა და ვიზიტებზე განსახორციელებელ საქმიანობაზე. მეორე ნაწილი აღწერს სოციალური მუშაკისა და მომსახურების მიმწოდებლის ფუნქციებს ბავშვის ძირითად საჭიროებებთან მიმართებაში, როგორცაა ჯანმრთელობა, განათლება, განვითარება და ოჯახურ გარემოში რეინტეგრაცია. მესამე ნაწილში მოცემულია სოციალურ მუშაკსა და მომსახურების მიმწოდებელს შორის შესაძლო უთანხმოების მოგვარების პროცედურა.

**I. მცირე საოჯახო ტიპის სახლში სოციალური მუშაკის სავალდებულო მინიმალური ვიზიტების რაოდენობა და ვიზიტებზე განსახორციელებელი საქმიანობა:**

1. სოციალური მუშაკის პირველი შეხვედრა მცირე საოჯახო ტიპის მომსახურების მიმწოდებელთან უნდა შედგეს მას შემდეგ, რაც საბჭო დაამტკიცებს ბავშვის მცირე საოჯახო ტიპის სახლში ჩარიცხვას (ბავშვის უშუალო განთავსებამდე), სოციალური მუშაკის ოფისში ან მცირე საოჯახო ტიპის სახლში. სოციალურ მუშაკს, საჭიროა, თან ჰქონდეს „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 52/ნ ბრძანებით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი ბავშვის თაობაზე და მაქსიმალურად დეტალურად გააცნოს მომსახურების მიმწოდებელს ჩასარიცხი ბავშვის საქმე. გადაუდებელ შემთხვევებში, ბავშვის განთავსებამდე აღნიშნული ვიზიტის განხორციელება შეუძლებელი იქნება, რადგან ბავშვი მომართვის დღესვე შეიძლება განთავსდეს მცირე საოჯახო ტიპის სახლში. ამ შემთხვევაში, სოციალური მუშაკის პირველი ვიზიტი დაემთხვევა ბავშვის სახლში მიყვანას ან განხორციელდება ბავშვის სახლში მიყვანიდან მომდევნო სამუშაო დღეს (როგორც ეს მეორე პუნქტშია გაწერილი).
2. ბავშვის მცირე საოჯახო ტიპის სახლში **ჩარიცხვის პირველ თვეს** სოციალური მუშაკი ახორციელებს მინიმუმ **2 სავალდებულო ვიზიტს** მცირე საოჯახო ტიპის სახლში, დამატებითი ვიზიტები კი სახლში ხორციელდება ბავშვის საჭიროებიდან გამომდინარე. ზემოაღნიშნული 2 ვიზიტიდან პირველზე სოციალურ მუშაკს მიჰყავს ბავშვი მცირე საოჯახო ტიპის სახლში და მიაქვს მომსახურების მიმწოდებელთან ბავშვის დოკუმენტაცია, რისი მიწოდებაც ვერ მოხერხდა პირველ შეხვედრაზე. თუ ბავშვი სოციალური მუშაკისგან დამოუკიდებლად მიიყვანეს მცირე საოჯახო ტიპის სახლში გადაუდებელ შემთხვევაში, სოციალური მუშაკი ახორციელებს აღნიშნულ ვიზიტს მომდევნო სამუშაო დღეს. ბავშვის განთავსების პირველ თვეს სოციალური მუშაკი ახორციელებს ბავშვის სახლში ადაპტაციის მონიტორინგს, მომსახურების მიმწოდებლის მიერ შედგენილი გეგმის განხილვასა და შეთანხმებას სოციალურ მუშაკთან, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს სოციალური მუშაკის მიერ შედგენილ ინდივიდუალური განვითარების გეგმას, ასევე, ყველა დარჩენილი დოკუმენტის მიწოდებას, თუ ასეთი არსებობს.
3. ბავშვის მცირე საოჯახო ტიპის სახლში **ჩარიცხვის პირველ თვეს**, ასევე, ხორციელდება ვიზიტები სამედიცინო დაწესებულებაში და საგანმანათლებლო დაწესებულებაში და სხვა.
4. ჩარიცხვიდან ერთი თვის გასვლის შემდგომ და ყოველ მომდევნო თვეში, ბავშვის სახლში ყოფნის მთელი დანარჩენი პერიოდის განმავლობაში, სოციალური მუშაკი ვალდებულია, მონიტორინგი გაუწიოს ბავშვის მდგომარეობას მცირე საოჯახო ტიპის სახლში, თვეში მინიმუმ ერთხელ, საჭიროების შემთხვევაში კი - დამატებითი ვიზიტების მეშვეობით.
5. **ჩარიცხვიდან სამი თვის შემდეგ** სოციალური მუშაკი და მომსახურების მიმწოდებელი ერთობლივად განიხილავენ ადაპტაციის პერიოდის შედეგებს და ბავშვის საჭიროებებს. აღნიშნულის გათვალისწინებით სოციალური მუშაკი ახდენს შემთხვევის გადასინჯვას და

ახალი ინდივიდუალური განვითარების გეგმის შედგენას, რის საფუძველზეც ხდება მომსახურების მიმწოდებლის მიერ მომსახურების ინდივიდუალურ გეგმის შედგენა.

6. ყველა გეგმიური თუ არაგეგმიური ვიზიტის დროს ხდება ინფორმაციის გაცვლა მომსახურების მიმწოდებელსა და სოციალურ მუშაკს შორის. საჭიროების შემთხვევაში, როგორც სოციალურ მუშაკს, ისე მომსახურების მიმწოდებელს შეუძლიათ დამატებითი შეხვედრების (შემთხვევის კონფერენციების, მულტიდისციპლინარული გუნდის შეხვედრების) საჭიროების წამოყენება. შეხვედრაზე დამსწრე პირების მოწვევის პასუხისმგებლობას ისინი კვლავ შეთანხმების საფუძველზე ინაწილებენ.

## **II. სოციალური მუშაკისა და მომსახურების მიმწოდებლის უზრუნველყოფისა და მოვალეობების ბანაწილება:**

### **1. ჯანმრთელობა**

#### **1.1. სოციალური მუშაკის ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:**

- 1.1.1 მცირე საოჯახო ტიპის სახლში განთავსებისა და პოლიკლინიკაში აღრიცხვის შემდეგ მაქსიმალურად მოკლე ვადაში და **მაქსიმუმ ერთ თვეში შეხვედრის მოწყობა ბავშვის პედიატრთან**, რომელზეც სოციალური მუშაკი მოიპოვებს პედიატრის საკონტაქტო ინფორმაციას და უტოვებს მას საკუთარ საკონტაქტო ინფორმაციას. საჭიროების შემთხვევაში, ამ შეხვედრას უნდა დაესწროს მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციის პასუხისმგებელი პირი.
- 1.1.2 ბავშვის სამედიცინო დოკუმენტაციის შეგროვება ან მოწესრიგება „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 52/ნ ბრძანების პირობების შესაბამისად. სამედიცინო დოკუმენტაციას წარმოადგენს ბავშვის ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია (ფორმა №100ა) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- 1.1.3 სახლში განთავსების შემდგომ ბავშვის სამედიცინო საჭიროებების (მაგალითად, გეგმიური ჰოსპიტალიზაცია ან ოპერაცია) დაკმაყოფილებაში სოციალური მუშაკი ერთვება იმ შემთხვევაში, თუ ბავშვს ესაჭიროება კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა.
- 1.1.4 გადაუდებელი საჭიროების შემთხვევაში, საჭირო მომსახურებებთან დაკავშირება და ბავშვის მდგომარეობის აქტიური მონიტორინგი.
- 1.1.5 შუამდგომლობის განხორციელება მომსახურების მიმწოდებლის მომართვის საფუძველზე სოციალური მომსახურების სააგენტოს ცენტრალური ორგანოს წინაშე ბავშვის შორეულ ლოკაციაში (სხვა რაიონი ან რეგიონი) ტრანსპორტირების უზრუნველყოფის მიზნით.

- 1.1.6 დამატებითი სპეციალისტის (ფსიქიატრი და სხვა) საჭიროების შემთხვევაში, მომსახურების მიმწოდებელის მიერ სოციალური მუშაკისთვის ამ ინფორმაციის მიწოდება. ამ შემთხვევაში, ერთვება ბავშვის პედიატრი ან პირადი ექიმი, რომელიც სოციალურ მუშაკთან და/ან მომსახურების მიმწოდებელთან ერთად გეგმავს მსგავსი სპეციალისტის ჩართვის საჭიროებას. სოციალური მუშაკი მომსახურების მიმწოდებლის მიერ იღებს წერილობით ინფორმაციას სპეციალისტთან ვიზიტის ორგანიზირებასთან დაკავშირებით.
- 1.1.7 სოციალურ მუშაკს უნდა ჰქონდეს ჯანდაცვის სპეციალისტ(ებ)ის საკონტაქტო ინფორმაცია, რათა, საჭიროების შემთხვევაში, თავად დაუკავშირდეს მას/მათ ან მიაწოდოს ეს ინფორმაცია მომსახურების მიმწოდებელს. სოციალური მუშაკი, საჭიროებისა და მცირე საოჯახო ტიპის სახლის მომსახურების მიმწოდებელთან შეთანხმების საფუძველზე, ეხმარება მომსახურების მიმწოდებელს ბავშვების შემზადებაში სპეციალისტთან ვიზიტისთვის და ესწრება ბავშვის სპეციალისტთან, სულ მცირე, პირველ ვიზიტს.
- 1.1.8 შუამავლის როლის შესრულება მცირე საოჯახო ტიპის სახლსა და მის გარეთ არსებულ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის ჯანდაცვის (მათ შორის, ფიზიკური, ფსიქიკური და ემოციური ჯანმრთელობის დაცვის) საჭიროების დაკმაყოფილების კუთხით.
- 1.1.9 ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის ზოგადი მონიტორინგის განხორციელება მცირე საოჯახო ტიპის სახლში არანაკლებ თვეში ერთი ვიზიტისა და სამედიცინო დაწესებულებაში მინიმუმ 6 თვეში ერთხელ კონტაქტის მეშვეობით.

## **1.2. მომსახურების მიმწოდებლის ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:**

- 1.2.1 სოციალური მუშაკის ინფორმირება ბავშვის ჯანმრთელობის კუთხით ნებისმიერი ცვლილებისა თუ საჭიროების თაობაზე, და ამ ინფორმაციის ასახვა ბავშვის პირად დოკუმენტაციაში, რომელიც სახლში ინახება.
- 1.2.2 ბავშვის ჯანმრთელობის გაუარესების ნებისმიერი შემთხვევის დაფიქსირება შესაბამის სპეციალურ ფორმაში. დაფიქსირებული შემთხვევა უნდა მოიცავდეს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა დიაგნოზი დაესვა ბავშვს და რომელი სპეციალისტის და რა ტიპის მედიკამენტური ჩარევა გახდა აუცილებელი პრობლემის მოსაგვარებლად. ეს ინფორმაცია შეძლებისდაგვარად სწრაფად მიეწოდება ბავშვის სოციალურ მუშაკს.
- 1.2.3 ბავშვის ტრანსპორტირების უზრუნველყოფა შედარებით ახლო ტერიტორიაზე (მცირე საოჯახო ტიპის სახლის რაიონის ფარგლებში) და/ან საჭირო დოკუმენტაციის უზრუნველყოფაში დახმარება ბავშვის ნებისმიერი სამედიცინო საჭიროების დაკმაყოფილების მიზნით.
- 1.2.4 სოციალური მუშაკის ინფორმირება, თუ საჭიროა ბავშვის ტრანსპორტირება დიდი დაშორების ლოკაციაზე (სხვა რაიონში ან რეგიონში). ამ შემთხვევაში, სოციალური მუშაკი ახორციელებს შუამდგომლობას სოციალური მომსახურების სააგენტოს ცენტრალური ორგანოს წინაშე ტრანსპორტირების საკითხის მოგვარების მიზნით. ბავშვის ტრანსპორტირებას და ექიმთან ვიზიტს ესწრება სოციალური მუშაკი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საჭიროა ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის დასწრება.

- 1.2.5 ბავშვის ტრანსპორტირების უზრუნველყოფა და დასწრება პოლიკლინიკაში აღრიცხვის მიზნით პედიატრთან განხორციელებულ თავდაპირველ ვიზიტზე და ყველა შემდგომ საჭირო ვიზიტზე; ასევე, პედიატრის საკონტაქტო ინფორმაციის მოპოვება და მისთვის საკუთარი საკონტაქტო ინფორმაციის დატოვება. სოციალური მუშაკი ერთვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საჭიროა ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის დასწრება.
- 1.2.6 ბავშვის სახლში ჩარიცხვისა და განთავსების შემდეგ, ბავშვის განმეორებითი სამედიცინო საჭიროებების (ახალ პოლიკლინიკაში აღრიცხვაზე აყვანა, ახალი სამედიცინო დოკუმენტაციის აღება) დაკმაყოფილება. სოციალური მუშაკი ერთვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საჭიროა ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის დასწრება.
- 1.2.7 გადაუდებელ შემთხვევებში, გადაწყვეტილების მიღება სასწრაფო დახმარების გამოძახებაზე; საჭიროების შემთხვევაში, სასწრაფო დახმარების გადაწყვეტილების შესაბამისად, ბავშვის გადაუდებელი ჰოსპიტალიზაციის ხელშეწყობა, ექიმის მიერ ბავშვის მდგომარეობის მუდმივი მონიტორინგის უზრუნველყოფა და ბავშვის თავმდგმურობა (ბავშვთან ყოფნა და მოვლა) ჰოსპიტალიზაციის პერიოდში. თუ გადაუდებელი საჭიროება არასამუშაო საათებშია, სოციალური მუშაკი ერთვება მომდევნო სამუშაო დღეს.
- 1.2.8 დამატებითი სპეციალისტის (ფსიქიატრი და სხვა) საჭიროების შემთხვევაში, სოციალური მუშაკისთვის ამ ინფორმაციის მიწოდება. ამ შემთხვევაში, ერთვება ბავშვის პედიატრი ან პირადი ექიმი, რომელიც სოციალურ მუშაკთან და/ან მომსახურების მიმწოდებელთან ერთად გეგმავს მსგავსი სპეციალისტის ჩართვის საჭიროებას. მომსახურების მიმწოდებელი უზრუნველყოფს სპეციალისტთან ვიზიტის ორგანიზებას და აწვდის ინფორმაციას სოციალურ მუშაკს. მომსახურების მიმწოდებელი, სოციალური მუშაკის მხარდაჭერით (საჭიროების შემთხვევაში), ამზადებს სახლში მცხოვრებ ბავშვ(ებ)ს სპეციალისტის ვიზიტისთვის და ესწრება სპეციალისტის ვიზიტებს ბავშვ(ებ)თან.

## **2. განათლება**

### **2.1. სოციალური მუშაკის ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:**

- 2.1.1 ბავშვის სკოლაში აღრიცხვის უზრუნველყოფა მცირე საოჯახო ტიპის სახლში ჩარიცხვის დროისთვის. თუ ბავშვი ახალ სკოლაში უნდა ჩაირიცხოს, სოციალური მუშაკი უზრუნველყოფს განაცხადის შეტანას სკოლის ცვლილებასთან დაკავშირებით.
- 2.1.2 პირველივე შესაძლებლობისთანავე, ბავშვის დამრიგებლის საკონტაქტო ინფორმაციის მოპოვება და მისთვის საკუთარი საკონტაქტო ინფორმაციის დატოვება. განურჩევლად იმისა, ბავშვი სახლში განთავსებისას იცვლის სკოლას თუ რჩება ძველ სკოლაში, სოციალური მუშაკი, მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციის პასუხისმგებელ პირთან ერთად,



ესაუბრება დირექტორსა და დამრიგებელს და ამზადებს სკოლის გარემოს ბავშვის მიმართ სტიგმის თავიდან აცილების მიზნით.

- 2.1.3 ბავშვის მცირე საოჯახო ტიპის სახლში განთავსებიდან ერთი თვის განმავლობაში სოციალური მუშაკი მინიმუმ ერთხელ აკითხავს ბავშვს სკოლაში, რათა დარწმუნდეს, რომ მისი სკოლაში ადაპტაცია წარმატებით მიმდინარეობს. სკოლაში ბავშვის ადაპტაციის საკითხი განიხილება სოციალური მუშაკისა და მომსახურების მიმწოდებლის მიერ ბავშვის განთავსებიდან ერთი თვის თავზე.
- 2.1.4 საჭიროების შემთხვევაში, სოციალური მუშაკი მიმართავს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამის უწყებას, ბავშვისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით და შემდგომში ზედამხედველობას უწევს აღნიშნული გეგმის შესრულების პროცესს.
- 2.1.5 სოციალური მუშაკის ერთგვარ საჭირო დოკუმენტაციის მოწესრიგებაში, ბავშვის პროფესიულ ან უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის მიზნით.
- 2.1.6 მომსახურების მიმწოდებლისთვის ინფორმაციის მიწოდება სკოლის შიგნით თუ გარეთ საგანმანათლებლო, და არაფორმალური (სპორტული, სოციალური) წრეების თაობაზე და, საჭიროების შემთხვევაში, შუამდგომლობის გაწევა ბავშვის წრეში ჩარიცხვასთან დაკავშირებით.
- 2.1.7 ბავშვის განათლების ზოგადი მონიტორინგის განხორციელება მომსახურების მიმწოდებელსა და ბავშვთან მინიმუმ ყოველთვე და სკოლასთან/საგანმანათლებლო დაწესებულებასთან მინიმუმ 6 თვეში ერთხელ კონტაქტის მეშვეობით.

## **2.2. მომსახურების მიმწოდებლის ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:**

- 2.2.1 სოციალური მუშაკის ვიზიტის დროს (მინიმუმ თვეში ერთხელ) მისთვის ბავშვის განათლებასთან დაკავშირებული სრული ინფორმაციის მიწოდება.
- 2.2.2 ბავშვის საგანმანათლებლო საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით, ტრანსპორტირებისა და საბუთების აღებაში დახმარების უზრუნველყოფა.
- 2.2.3 ბავშვის განათლებაზე ყოველდღიური მონიტორინგის წარმოება და, საჭიროებისამებრ, ბავშვის დახმარება საგანმანათლებლო მასალის სწავლა/დაძლევაში.
- 2.2.4 ბავშვის მცირე საოჯახო ტიპის სახლში განთავსებისას, სოციალურ მუშაკთან ერთად სკოლაში ვიზიტი და გასაუბრება დირექტორთან და დამრიგებელთან; ბავშვის ყველა მასწავლებლის გაცნობა.
- 2.2.5 სკოლის შიგნით ან გარეთ არსებული წრეების შესახებ ინფორმაციის ფლობის შემთხვევაში, ბავშვის არაფორმალური განათლების მიღების საკითხის შეთანხმება სოციალურ მუშაკთან და შესაძლებლობის ფარგლებში, ბავშვის დასწრების უზრუნველყოფა.
- 2.2.6 საჭიროების შემთხვევაში, მომსახურების მიმწოდებელი ერთგვარ სკოლის მიერ ბავშვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და მისი შესრულების მონიტორინგის საკითხში.

2.2.7 მომსახურების მიმწოდებელი უზრუნველყოფს ტრენინგების ჩატარების ორგანიზებას, ბენეფიციართა ასაკის, განვითარებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. სატრენინგო პროგრამა და თემები შეთანხმებული უნდა იქნეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან და სოციალური მომსახურების სააგენტოსთან.

### **3. ბავშვის განვითარება**

#### **3.1. სოციალური მუშაკის ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:**

- 3.1.1. საჭიროების შემთხვევაში, მომსახურების მიმწოდებლის დახმარება სპეციალისტის (ფსიქოლოგი, ლოგოპედი, და სხვა) საჭიროების გამოკვეთაში. სოციალურ მუშაკს უნდა ჰქონდეს შესაბამისი სპეციალისტ(ებ)ის საკონტაქტო ინფორმაცია, რათა, საჭიროების შემთხვევაში, თავად დაუკავშირდეს მას/მათ ან მიაწოდოს ეს ინფორმაცია მომსახურების მიმწოდებელს.
- 3.1.2. მომსახურების მიმწოდებლისთვის ბავშვის განვითარებაზე მიმართული მომსახურებების (რეკრეაცია, რეაბილიტაცია, კლასგარეშე კლუბები და სხვა) თაობაზე ინფორმაციის მიწოდება ინდივიდუალური განვითარების გეგმიდან/ ბავშვის საჭიროებებიდან გამომდინარე.
- 3.1.3 ბავშვის განვითარების ზოგადი მონიტორინგი მცირე საოჯახო ტიპის სახლში მინიმუმ თვეში ერთხელ ვიზიტის მეშვეობით. ბავშვის განვითარებაში მოიაზრება ისეთი ასპექტები, როგორებიცაა ბავშვის ფსიქო-ემოციური და სოციალური განვითარება, ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების გაუმჯობესება, რეკრეაცია, რეაბილიტაცია, კლასგარეშე კლუბებში ჩართვა და სხვა, ბავშვის ინდივიდუალური განვითარების გეგმიდან/საჭიროებებიდან გამომდინარე.

#### **3.2. მომსახურების მიმწოდებლის ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:**

- 3.2.1. მინიმუმ თვეში ერთხელ, სოციალური მუშაკის ვიზიტის დროს, მისთვის ინფორმაციის მიწოდება ბავშვის ფსიქო-ემოციურ და სოციალურ განვითარებასთან დაკავშირებით და სოციალური მუშაკისგან ინფორმაციის მოპოვება ინდივიდუალური განვითარების გეგმის პროგრესთან დაკავშირებით ბავშვის ფსიქო-ემოციური და სოციალური განვითარების კუთხით.
- 3.2.2. დამატებითი სპეციალისტის (ფსიქოლოგი, ლოგოპედი და სხვა) საჭიროების გამოკვეთა, სოციალური მუშაკისთვის ამ ინფორმაციის მიწოდება და, მსგავსი რესურსის არსებობის შემთხვევაში, სპეციალისტის ჩართვის ერთობლივად დაგეგმვა. სოციალური მუშაკის მხარდაჭერით (საჭიროებისა და შეთანხმების საფუძველზე), ბავშვების სპეციალისტის

ვიზიტისთვის შემზადება და, საჭიროებისამებრ და ბავშვის სურვილის გათვალისწინებით, სპეციალისტის ბავშვ(ებ)თან ვიზიტებზე დასწრება.

- 3.2.3. ბავშვის განვითარებისთვის საჭირო და მისთვის საინტერესო მომსახურებების (რეკრეაცია, რეაბილიტაცია, კლასგარეშე კლუბები და სხვა) გამოკვეთა (საჭიროების შემთხვევაში, სოციალურ მუშაკთან თანამშრომლობით); ბავშვის მომსახურებაზე დასწრების უზრუნველყოფა.
- 3.2.4. ბავშვის განვითარებაზე ზრუნვა, რაც გულისხმობს ბავშვის ფსიქო-ემოციურ და სოციალურ განვითარებას, ყოველდღიური უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას, რეკრეაციას და სხვა.
- 3.2.5. ბავშვის უზრუნველყოფა ასაკისთვის შესაბამისი განმავითარებელი აუცილებელი სათამაშოებისა და კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურით, კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტით.

## **4. ბავშვის ოჯახურ გარემოში რეინტეგრაცია**

### **4.1. სოციალური მუშაკის ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:**

- 4.1.1 ბავშვის ბიოლოგიური ოჯახის მოძიება, შეფასება და მუდმივი მუშაობა ოჯახის გაძლიერებისა და ბავშვის ოჯახში მაქსიმალურად სწრაფად რეინტეგრაციის მიზნით. თუ ბავშვსა და ბავშვის ოჯახს სხვადასხვა სოციალური მუშაკი ჰყავთ ტერიტორიული დაშორების გამო, თითოეული სოციალური მუშაკი ვალდებულია, ითანამშრომლოს მეორესთან და მუდმივად ცვალოს მასთან ინფორმაცია, რათა შეეწყოს ხელი ბავშვის ოჯახში რეინტეგრაციას.
- 4.1.2 მომსახურების მიმწოდებელთან თანამშრომლობით, მცირე საოჯახო ტიპის სახლში განთავსებული ბავშვის ბიოლოგიურ მშობელთან/ნათესავებთან ურთიერთობის დაგეგმვა/დარეგულირება (მეურვეობისა და მზრუნველობის რეგიონულ საბჭოზე მნახველ ან/და გამყვან პირად დარეგისტრირების საკითხის გატანის უზრუნველყოფა, დროებით გაყვანის შემთხვევაში ბავშვის ოჯახში მონიტორინგის განხორციელება). მომსახურების მიმწოდებლისგან ინფორმაციის მიღება დარეგისტრირებული გამყვანი პირის მიერ ბავშვის გაყვანის, მცირე საოჯახო ტიპის სახლში მნახველი პირის ვიზიტის და სხვა).
- 4.1.3 მომსახურების მიმწოდებლისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება ყოველთვიური შეხვედრების დროს ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრაციის ან ალტერნატიული ზრუნვის სხვა ფორმაში გადაყვანის კუთხით მიმდინარე პროგრესთან დაკავშირებით.
- 4.1.4 ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, და განსაკუთრებით, მომსახურების მიმწოდებლის მომართვის შემთხვევაში, საბჭოს და/ან სასამართლოს წინაშე მშობლის მიერ ბავშვის მონახულების/გაყვანის პირობებსა და, ზოგადად, მშობლის უფლება-მოვალეობებსა და ბავშვის იურიდიულ სტატუსში ცვლილების საჭიროების დაყენება.

- 4.1.5 თუ რიგი ობიექტური მიზეზების გამო შეუძლებელია ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრაცია, ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესებიდან და მისი სურვილიდან გამომდინარე, მაქსიმალურად მოკლე ვადაში ბავშვის უფრო სტაბილურ ოჯახურ გარემოში (მეურვე/მზრუნველი, მშვილგებელი ოჯახი, ნათესაური ან არანათესაური მინდობით აღზრდა,) აღზრდის უზრუნველყოფა.
- 4.1.6 მცირე საოჯახო ტიპის სახლში განთავსებულ 14 წლის ზემოთ ბავშვებთან განსაკუთრებით აქტიური მუშაობის დაწყება დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მზადებაზე (მცირე საოჯახო ტიპის სახლის მომსახურების მიმწოდებელთან მჭიდრო თანამშრომლობით).
- 4.1.7 სოციალური მუშაკი მცირე საოჯახო ტიპის სახლში ვიზიტის დროს სისტემატიურად ნახულობს მნახველი/გამყვანი პირის მონახულების ან/და გაყვანის ჟურნალებს;

## 4.2. მომსახურების მიმწოდებლის ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:

- 4.2.1. სოციალურ მუშაკთან შეთანხმებით, და ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან და საკუთარი შესაძლებლობიდან გამომდინარე, ბავშვ(ებ)სა და ბიოლოგიური ოჯახის წევრებს/ნათესავებს შორის დადებითი ურთიერთობის დამყარების, შენარჩუნებისა და გაძლიერების ხელშეწყობა; სოციალურ მუშაკთან ბიოლოგიური ოჯახის/ნათესავის ვიზიტის დეტალების (ვიზიტის ხანგრძლივობა, შეხვედრის ადგილი და ა.შ.) შეთანხმება.
- 4.2.2. მცირე საოჯახო ტიპის სახლში განთავსებული ბავშვის ბიოლოგიურ მშობელთან/ნათესავებთან ურთიერთობის (საბჭოს მიერ დარეგისტრირებული პირის მიერ ბავშვის გაყვანა, მნახველი პირის ვიზიტი მცირე საოჯახო ტიპის სახლში და სხვა) დაგეგმვა/დარეგულირება.
- 4.2.3. შესაბამისი ჩანაწერების წარმოება ბავშვსა და მშობელს შორის ურთიერთობის თაობაზე.
- 4.2.4. სოციალური მუშაკის ვიზიტის დროს, მისთვის ბავშვსა და მშობელს შორის ურთიერთობის თაობაზე ინფორმაციის მიწოდება, ასევე, ბავშვის მომსახურებიდან გაყვანაზე პასუხისმგებელი პირის მიერ ბავშვის მომსახურებაში დაბრუნების ვადების დაცვის თაობაზე და მომსახურებიდან გაყვანის დროს ბავშვზე ზრუნვის განხორციელებასთან დაკავშირებით;
- 4.2.5. სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული ერთეულისთვის წერილობით ინფორმაციის მიწოდება ბავშვზე მშობლის უარყოფითი ზეგავლენის შესახებ და ასევე, ყველა იმ ფაქტის შესახებ, როდესაც ბავშვის მომსახურებიდან გაყვანაზე პასუხისმგებელი პირი არ იცავს ბავშვის მომსახურებაში დაბრუნების ვადებს და არ ახორციელებს სათანადო ზრუნვას მომსახურებიდან გაყვანის დროს; ასევე, სოციალური მუშაკისგან რეაგირების და/ან ოჯახთან კონტაქტის პირობების ცვლილების მოთხოვნის თაობაზე.
- 4.2.6. 14 წლის ზემოთ ბავშვებთან განსაკუთრებით აქტიური მუშაობის განხორციელება მათი დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადების მიზნით (ფულის მართვის უნარ-ჩვევები, საგანმანათლებლო და პროფესიული ინტერესების გამოკვეთა და სხვა).

4.2.7. მომსახურების მიმწოდებელი სისტემატიურად აღრიცხავს მნახველი/გამყვანი პირის მონახულების ან/და გაყვანის ფაქტებს შესაბამის ჟურნალში;

## **5. ძალადობა**

### **5.1. სოციალური მუშაკის ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:**

- 5.1.1. სახლში განთავსების შემდგომ სოციალური მუშაკი ესაუბრება ბენეფიციარს ძალადობის სახეებზე და აცნობს ბენეფიციარს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებს ბავშვის ასაკისა და განვითარების გათვალისწინებით;
- 5.1.2. სახლში განთავსებიდან არაუგვიანეს პირველი თვისა, სოციალური მუშაკი მომსახურების მიმწოდებელთან ერთობლივად უზრუნველყოფს ბავშვთან ფსიქოლოგის (სამხარეო ცენტრის/მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციის) კონსულტაციის ორგანიზებას, ძალადობის ფაქტების გამოვლენისა და პრევენციის მიზნით;
- 5.1.3. სოციალური მუშაკი მომსახურების მიმწოდებელთან ერთობლივად უზრუნველყოფს ძალადობის მსხვერპლ ბავშვებთან ფსიქოლოგის მუშაობის ორგანიზებას;
- 5.1.4. მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციის პასუხისმგებელ პირთან(ლიდერი, აღმზრდელი) ერთობლივად ახდენს ძალადობის ფაქტების გამოვლენას და საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში მოქმედებს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების შესაბამისად;
- 5.1.5. სოციალური მუშაკი მცირე საოჯახო ტიპის სახლში ვიზიტის დროს ნახულობს ძალადობის აღრიცხვის ჟურნალს და მოქმედებს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების შესაბამისად;

### **5.2 მომსახურების მიმწოდებლის ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:**

- 5.2.1. მომსახურების მიმწოდებელი ფლობს ინფორმაციას ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების შესახებ;
- 5.2.2. სახლში განთავსების შემდგომ მომსახურების მიმწოდებელი და სოციალური მუშაკი ერთობლივად აცნობენ ბენეფიციარს ძალადობის სახეებს და ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებს, ბავშვის ასაკისა და განვითარების გათვალისწინებით;
- 5.2.3. სახლში განთავსებიდან არაუგვიანეს პირველი თვისა, მომსახურების მიმწოდებელი და სოციალური მუშაკი ერთობლივად უზრუნველყოფენ ბავშვთან ფსიქოლოგის (სამხარეო

ცენტრის/მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციის) კონსულტაციის ორგანიზებას, ძალადობის ფაქტების გამოვლენისა და პრევენციის მიზნით;

- 5.2.4. მომსახურების მიმწოდებელი სოციალური მუშაკთან ერთობლივად უზრუნველყოფს ძალადობის მსხვერპლ ბავშვებთან ფსიქოლოგის მუშაობის ორგანიზებას;
- 5.2.5. მომსახურების მიმწოდებელი აწარმოებს ძალადობის აღრიცხვის ჟურნალს და საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში მოქმედებს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების შესაბამისად;

## 6. სხვა

### 6.1 სოციალური მუშაკის ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:

- 6.1.1. ბავშვისთვის საჭირო დოკუმენტაციის (დაბადების მოწმობა, პირადობის მოწმობა და სხვა) უზრუნველყოფა.
- 6.1.2. ბავშვის მცირე საოჯახო ტიპის სახლში განთავსებიდან ერთი თვის თავზე, მომსახურების მიმწოდებელთან ერთობლივ შემთხვევის კონფერენციაზე ბავშვის სახლიდან დამოუკიდებლად გაშვების (იმავე რაიონში, ქალაქში) საკითხის შეთანხმება, რაც ფორმდება სპეციალურ ფორმაში (დანართი 10 - „ინფორმაცია შემთხვევასთან დაკავშირებით მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ ორგანიზებული შეხვედრების შესახებ“) და მოწმდება კონფერენციის მონაწილეთა ხელმოწერებით.
- 6.1.3. ბავშვის გაუჩინარების<sup>1</sup> შემთხვევაში, მაქსიმალურად მოკლე ვადაში ჩართვა და ურთიერთობის დამყარება შსს რაიონულ სამმართველოსთან, გაუჩინარების თაობაზე ინფორმაციის მოძიებისა და გადამოწმების მიზნით.
- 6.1.4. მისი უფლებამოსილების ფარგლებში, მყისიერი რეაგირების მოხდენა მომსახურების მიმწოდებლის ნებისმიერ მიმართვაზე ბავშვთან დაკავშირებით და, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური განვითარების გეგმის გადასინჯვის საკითხის დაყენება რეგიონული საბჭოს წინაშე.

### 6.2 მომსახურების მიმწოდებლის ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:

- 6.2.1 ბავშვისთვის საჭირო დოკუმენტაციის (დაბადების მოწმობა, პირადობის მოწმობა და სხვა) აღების მიზნით ბავშვის ტრანსპორტირების უზრუნველყოფა შედარებით ახლო მანძილზე

---

<sup>1</sup> ბავშვის გაუჩინარება გულისხმობს შემთხვევას, როდესაც მომსახურების მიმწოდებელმა ყოველგვარად სცადა ბავშვის მოძიება (დაუკავშირდა ბავშვს, მის სოციალურ მუშაკს, მეგობრებს, ნაცნობებს, მასწავლებლებს და/ან სხვა პირებს, რომლებთან ერთადაც შეიძლება იმყოფებოდეს ბავშვი), მაგრამ ვერცერთი წყაროსგან ვერ მიიღო ინფორმაცია ბავშვის ადგილსამყოფელის შესახებ.

(მცირე საოჯახო ტიპის სახლის რაიონის ფარგლებში); დიდ მანძილზე (სხვა რაიონში ან რეგიონში) ტრანსპორტირების აუცილებლობისას, დაკავშირება სოციალურ მუშაკთან, რომელიც სოციალური მომსახურების სააგენტოს ცენტრალურ ორგანოსთან შუამდგომლობს ტრანსპორტის გამოყოფის მიზნით.

- 6.2.2 ბავშვის სახლიდან დამოუკიდებლად გაშვების საკითხის განსაზღვრა შედარებით მცირე მანძილზე (სამეზობლო, მცირე საოჯახო ტიპის სახლის რაიონი) ბავშვის ასაკის, უნარებისა და ტერიტორიული სიშორის გათვალისწინებით. ბავშვის მცირე საოჯახო ტიპის სახლში განთავსებიდან ერთი თვის თავზე, შემთხვევის კონფერენციაზე, მომსახურების მიმწოდებლისა და სოციალურ მუშაკის მიერ ერთობლივად ხდება ბავშვის სახლიდან დამოუკიდებლად გაშვების (იმავე რაიონში, ქალაქში) საკითხს შეთანხმება, რაც ფორმდება სოციალური მუშაკის სამუშაო სპეციალურ ფორმაში (დანართი 10 - **„ინფორმაცია შემთხვევასთან დაკავშირებით მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ ორგანიზებული შეხვედრების შესახებ“**) და მოწმდება კონფერენციის მონაწილეთა ხელმოწერებით.
- 6.2.3 ბავშვის გაუჩინარების<sup>2</sup> შემთხვევაში, დაკავშირება საპატრულო პოლიციასთან გონივრულ ვადაში (არა უგვიანეს 24 საათისა) და უახლოესი შესაძლებლობისთანავე, სოციალურ მუშაკთან.
- 6.2.4 სოციალურ მუშაკთან შეთანხმებით, საბჭოს ჩარიცხვის გადაწყვეტილების (რომელიც მოიცავს ბავშვის მონახულებისა და გაყვანის უფლების მქონე პირებსა და მონახულების/გაყვანის პირობებს) საფუძველზე და ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესებიდან გამომდინარე, სასწავლო არდადეგების დღეებში, უქმე დღეებში ან/და შაბათ-კვირას ბავშვის მომსახურებიდან დროებით გაყვანის პირობების (დრო, გაყვანის ადგილი და სხვა) განსაზღვრა; სხვა დღეებში ბავშვის მომსახურებიდან გაყვანის/მონახულების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოს წერილობითი თანხმობით, რომელიც გაიცემა დასაბუთებული საჭიროებიდან გამომდინარე.
- 6.2.5 თუ არსებობს მცირე საოჯახო ტიპის სახლის ბავშვ(ებ)ის უსაფრთხოების ხელყოფის რისკი (მაგალითად, მშობელი ან სხვა პირი მომსახურებაში მოდის არაფხიზელ მდგომარეობაში, ღამის საათებში, ან სხვაგვარად არღვევს ბავშვ(ებ)ის უსაფრთხოებას), პატრულთან მყისიერად დაკავშირება წამოჭრილი კრიზისული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით და შესაძლებლობისთანავე, სოციალური მუშაკის ინფორმირება.

---

<sup>2</sup> ბავშვის გაუჩინარება გულისხმობს შემთხვევას, როდესაც მომსახურების მიმწოდებელმა ყოველგვარად სცადა ბავშვის მოძიება (დაუკავშირდა ბავშვს, მის სოციალურ მუშაკს, მეგობრებს, ნაცნობებს, მასწავლებლებს და/ან სხვა პირებს, რომლებთან ერთადაც შეიძლება იმყოფებოდეს ბავშვი), მაგრამ ვერცერთი წყაროსგან ვერ მიიღო ინფორმაცია ბავშვის ადგილსამყოფელის შესახებ.

### **III. სოციალურ მუშაკსა და მომსახურების მიმწოდებელს შორის უთანხმოებების მოგვარების ფორმატი**

თუ სოციალურ მუშაკსა და მომსახურების მიმწოდებელს შორის წარმოიშვა უთანხმოება, იგი გვარდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. თუ უთანხმოების მოგვარება ურთიერთშეთანხმებით შეუძლებელია, ერთვებიან უფროსი სოციალური მუშაკი და მომსახურების მენეჯერი. თუ უთანხმოება ამ ინსტანციაზეც ვერ გადაწყდა, ხდება სიტყვიერი ან წერილობითი მიმართვა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციის სახელზე.

### **დოკუმენტის ავტორი**

დოკუმენტი შემუშავებულია სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობდა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური პროგრამებისა და მეურვეობა-მზრუნველობის დეპარტამენტი.